დანართი 1

ლაშა საღინაძე -ადმინისტრაციის ხელმძღვანელი -კომისიის თავმჯდომარე;

კახაბერ ჭეიშვილი - რექტორის მოადგილე -კომისიის წევრი

გიორგი შამათავა -ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

კახაბერ რუსიძე -გამომცემლობის დირექტორი -კომისიის წევრი;

გოჩა ჯანელიძე -პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

ლანა ლომიძე -პერსონალის მართვის დეპატამენტის წამყავნი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სპეციალისტის(შტატგარეშე) პოზიციაზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სპეციალისტის (შტატგარეშე) პოზიციაზე შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სპეციალისტის (შტატგარეშე) პოზიციაზე შერჩევა.

ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია დაუსწრებლად აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის გამომცემლობაში განსაზღვრულ სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.

4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და უნივერსიტეტის გამომცემლობის სპეციალისტის(შტატგარეშე) პოზიციაზე შესარჩევად ჩაითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატი დაინიშნება აღნიშნულ პოზიციაზე და გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.